

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ეროვნული ბანკის თანამდებობის პირების ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული ზოგიერთ საკითხის დაზუსტების აუცილებლობით. კერძოდ, თანამდებობის პირთა ჩამონათვალში ხდება ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ვიცე-პრეზიდენტით ჩანაცვლება, რის შედეგადაც აღარ მოხდება ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობის პირად მიჩნევა. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. ინტერესთა კონფლიქტის კუთხით ეროვნული ბანკის საბჭოს წევრისათვის აუცილებელი მოთხოვნები დადგენილია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითვე, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტებისა, იმავდროულად არ შეიძლება იყოს: საჯარო მოსამსახურე, იურიდიული პირის ხელმძღვანელი, საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის თანამშრომელი. ეს შეზღუდვები სავსებით საკმარისია ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის საქმიანობის სრულფასოვანი განხორციელებისათვის. სხვა დამატებითი შეზღუდვების არსებობა მიზანშეწონილი არ არის, გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი უნდა იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, პროფესიონალი ეკონომიკის, ფინანსების ან სხვა შესაბამის დარგში და გამორჩეულნი პატიოსნებით. შესაბამისად, დამატებითი შეზღუდვების არსებობამ შეიძლება შეაფერხოს საუკეთესო კანდიდატის შერჩევის პროცესი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია დაზუსტდეს საქართველოს ეროვნული ბანკის თანამდებობის პირების ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ თანამდებობის პირთა ჩამონათვალში ხორციელდება ცვლილება და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ვიცე-პრეზიდენტით ჩანაცვლება, რის შედეგადაც ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი აღარ მიიჩნევა თანამდებობის პირად აღნიშნული კანონის მიზნებისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ეროვნული ბანკი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.